საბჭოთა ფეხბურთელების მორიგი გამარჯვება
“დინამო” (თბილისი) – “ცვკს” 2:0

მესამე საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება პოლონელ ფეხბურთელებთან თბილისის “დინამომ” გამართა ვარშავაში.

ამჯერად დინამოელები შეხვდნენ “ცვკს” (ცენტრალური სამხედრო სპორტული კლუბი) ფეხბურთელთა კოლექტივს. “ცვკს” ერთ–ერთი უძლიერესი გუნდია პოლონეთში, მის შემადგენლობაშია პოლონეთის ნაკრების რამდენიმე მოთამაშე. თბილისელებთან შეხვედრისათვის გუნდი გაძლიერებული იყო სხვა არმიული გუნდების მოთამაშეებით.

პოლონელი სპორტის მოყვარულნი დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ფეხბურთელების გამოსვლებისადმი. თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე სტადიონი, რომელიც იტევს 60 ათასამდე მაყურებელს, ხალხით გაივსო, შეჯიბრებას ესწრებოდნენ პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი, მთავრობის წევრები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის და სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, დიპლომატური კორპუსის წევრები.

მაყურებლები მხურვალე ტაშით შეხვდნენ მოედანზე საბჭოთა ფეხბურთელების გამოჩენას. გუნდების ურთიერთმილოცვის შემდეგ დინამოელებმა ჩაუარეს ხალხით სავსე ტრიბუნებს და მიესალმნენ ვარშავის მშრომელებს.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის ნ. ჩხატარაშვლის სასტვენის ხმაზე დაიწყო შეხვედრა. დინამოელებმა თამაშის დაწყებიდანვე მძაფრი იერიშები განავითარეს. პირველი წუთებიდანვე თამაშში ჩაება პოლონელთა მეკარე სტეფანიშინი, რომელმაც თავი ისახელა თავგამოდებული, ბრწყინვალე თამაშით.

დინამოელები თამაშობდნენ უკანდაწეული მარჯვენა გარემარბით, ხშირად იცვლიდნენ ადგილებს.

ზედიზედ სახიფათოდ გადიან მასპინძელთა კართან ვარდიმიადი, ღოღობერიძე და გაგნიძე, რომელსაც პოლონელები უკვე კარგად იცნობენ “გურნიკთან” მოხდენილი თამაშით და მას ორი მცველი დარაჯობს.

ამჯერად, პოლონელებიც საბჭოური სისტემით თამაშობდნენ. მათს თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩევიან იანეჩეკი (№8), ოლეინიკი (№10) და ბრაიტორი (№9). ხშირად მონაწილეობდა თავდასხმაში პოლონეთის ერთ–ერთი საუკეთესო ფეხბურთელი – მარჯვენა მცველი ტურნეკი. მაგრამ პოლონელთა შეტევებს შედეგი არ მოყოლია. ზუსტად, შეუცდომლად თამაშობდნენ დინამოელი მეკარე მარღანია, მცველები ელოშვილი, სარჯველაძე და ძიაპშპა.

თამაში მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. მე–15 წუთზე მეკარესთან პირისპირ დარჩა ვარდიმიადი, მაგრამ სტეფანიშინმა მოხდენილად აიღო ბურთი. შემდეგ კარისაკენ გაიჭრა გაგნიძე, სტეფანიშინმა მისი დარტყმაც მოიგერია, იქვე მოუსწრო ღოღობერიძემ და დაარტყა კარში, მაგრამ ეს ბურთიც გადაარჩინა პოლონელთა მეკარემ.

21–ე წუთზე გარღვევაზე გასულმა ჭკუასელმა ბურთი გაუჭრა ღოღობერიძეს, მან სწრაფად გადააწოდა ღიად დატოვებულ ვარდიმიადის, რომელმაც ახლო მანძილიდან ბურთი კარში მოათავსა. 1:0 – თბილისელთა სასარგებლოდ.

რამდენიმე მძაფრი მომენტი შექმნეს დინამოელთა საჯარიმო მოედანზე პოლონელმა თავდამსხმელებმა ბრეიტორმა და იანეშჩეკმა. ერთ–ერთი მათგანი მეტად სახიფათო იყო, მაგრამ მარღანიამ საუცხოო ნახტომით გადაარჩინა კარი აშკარა გოლისაგან.

თამაშის 41–ე წუთზე ჯოჯუამ საჯარიმო დარტყმით ბურთი ჩააწოდა პოლონელთა კართან, მოულოდნელად წინ გაიჭრა პანიუკოვი, რომელმაც ლამაზი თავური დარტყმით მეორედ შეარხია პოლონელთა კარის ბადე.

თამაშის მეორე ნახევარი აღინიშნა მძაფრი ორმხრივი შეტევებით. პოლონელებმა სცადეს ანგარიშის შეცვლა, მაგრამ ისინი ინდივიდუალურად მოქმედებდნენ, რითაც დინამოელთა დაცვას ბურთის მოგერიებას უადვილებდნენ.

თამაშის ბოლო წუთებმა ჩაიარა თბილისელთა მძაფრ შეტევებში, მაგრამ მეკარე სტეფანიშინის ბრწყინვალე თამაშმა არ მისცა დინამოელებს ანგარიშის გადიდების საშუალება.

ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით – 2:0.

მორიგ ამხანაგურ შეხვედრას თბილისელი ფეხბურთელები გამართავენ პოლონეთის უძლიერეს გუნდთან “გვარდიასთან” (კრაკოვი).

16 ნოემბერი 1951 წ.